გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

"ზესტაფონი. ქალაქის ახალი ვერსია!"

2. **თემატიკა:**

ადგილობრივ დონეზე საშუალოვადიანი განვითარების დაგეგმვა; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა და მონაწილეობითი ეკონომიკური განვითარების ინოვაციური მოდელების დანერგვა;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

ზესტაფონი - ქალაქი დასავლეთ საქართველოში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ყვირილის ორივე ნაპირზე. ზღვის დონიდან 160მ სიმაღლეზე. თბილისიდან 183 კმ (რკინიგზით). ზესტაფონში ზღვის სუბტროპიკული ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13,9 °C. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3,7 °C, აგვისტოსი 23,9 °C. ნალექები 130მმ წელიწადში. ზესტაფონში არის სამრეწველო საწარმოები (აღსანიშნავია ფეროშენადნობთა ქარხანა), ქალაქში გადის საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი ს1 და გომი-საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზა. ქალაქში არის რკინიგზის სადგური და გადის საქართველოს რკინიგზის მაგისტრალი და ჭიათურა-საჩხერის განშტოება. 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა შეადგენს: 57628 კაცს.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

- **შიდა ფაქტორები** - ზესტაფონის მუნიციპალიტეტს გააჩნია სათანადო ფინანსური საშუალება პროექტების თანადაფინანსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მოცულობამ 30 მილიონს გადააჭარბა. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მოსამსახურეებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება აღნიშნული პროექტის განხორციელების მიმართულებით. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში ერთ-ერთი მძლავრი ინდუსტრიული სეგმენტია, ამდენად რაიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა იძლევა პროექტების შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას.
- **გარე ფაქტორები** - ზესტაფონის მუნიციპალიტეტიში ყოველწლიურად ხორციელდება მრავალმილიონიანი ინფრასტრუქტურული პროექტები, მუნიციპალური და რეგიონალური

განვითარების ფონდის ხელშეწყობითა და ჩართულობით. ასევე საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტის ფარგლებში დაფინანსთა ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს როგორც საგზაო ასევე სარკინიგზო მაგისტრალურ ერთ-ერთ კვანძს. აღნიშნული რევიტალიზაციის პროექტის სრულყოფილად განხორციელებას ხელი შეუშალა კოვიდ პანდემიამ, რაც გამოიხატება შემდეგში. პროექტის განხორციელების ერთ-ერთ ეტაპზე დაგეგმილი იყო ვიზიტი პოლონეთში, თუმცა მსოფლიოში არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, აღნიშნული შეხვედრა ჩატარდა ონლაინ ფორმატში, რომელმაც გარკვეული სახის უარყოფითი გავლენა მოახდინა პროექტის მიმდინარეობაზე. ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო მნიშვნელოვანი დადებითი გარე ფაქტორია პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

- **გამოწვევა**

1) დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის ამოქმედება ქალაქის გვერდის ავლით.
2) სავაჭრო და სწრაფი კვების ობიექტების დახურვით შეფერხდა ბიზნესის და შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი.
3) უმუშევრობის დონის ზრდა.
4) მუნიციპალიტეტისთვის მნიშვენლოვანი ბერკეტების არ არსებობა ეკონომიკურ პროცესებში სწრაფი და ეფექტური რეაგირებისთვის.
5) მოსახლეობის ჩართულობის დაბალი დონე პოსტინდუსტრიული ტერიტორიების განვითარების პროცესში
6) მენეჯმენტის ცოდნის ნაკლებობა ინტეგრირებული ინდუსტრიული აღორძინების პროცესის მომზადებისა და განხორციელებისათვის.

- **წარსული გამოცდილება** -
  გასული საუკუნის 90-იან წლებში, იმთავითვე მანკიერი სოციალისტური ეკონომიკური სისტემის კრახის შემდეგ, სოციალისტური ბანაკის ქვეყნები სერიოზული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე დადგნენ. სოციალისტურ სისტემაში შექმნილი საწარმოები არ იყვნენ მზად იმ კონკურენციისთვის რომელიც მსოფლიოს ბაზარზე არსებობს, არ გააჩნდათ შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, გაჩნდა ნედლეულის დეფიციტიც. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ შესძლეს ნაწილობრივ აღედგინათ თავიანთი ინდუსტრიული პოტენციალი, მაგრამ დარჩა საკმაოდ დიდი აუთვილსებელი რესურსი. ზესტაფონი, როგორც მძლავრი ინდუსტრიული ცენტრი როგორ წარსულში ასევე უახლოეს პერიოდში დადგა იმ პრობლემების წინაშე, რომელი პრობლემები ზემოთ იქნა აღნიშნული, რევიტალიზაციისკენ მიმართული პროგრამებით საშუალება გვეძლევა შევამციროთ ის მავნე გავლენები რაც გამოწვეული იქნა საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად.
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** -
  მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი ადგილობრივი პარტნიორობის შექმნა. ძველი, ფუნქციადაკარგული შენობა-ნაგებობებისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ინდუსტრიული ტურიზმის შესახებ

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართლობა პროცესებში. აღმ. ევროპის ქვეყნების კარგი მაგალითების გაცნობა ინდუსტრიული ტურიზმის მიმართულებით.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **პროექტის შინაარსი;**

  სოლიდარობის ფონდ „პლ საქართელო“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან ერთად განახორციელა პროექტი "ზესტაფონი. ქალაქის ახალი ვერსია!", რომლის მთავარი მიზანი იყო ზესტაფონის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს რე-ინდუსტრიული ზონის ახალი მოდელის შემუშავებაში მხარდაჭერა, ასევე ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, ქალაქის ინდუსტრიული მემკვიდრეობის აღდგენა-პოპულარიზაცია. პოლონელ ექსპერტებთან ერთად სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში დაეხმარა ზესტაფონის მუნიციპალიტეტს და შევიმუშავეთ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ახალი შუალედური მოდელი, რომლის ერთ-ერთი ნაწილია ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრის შექმნა რეგიონში. ზესტაფონში „მოზაიკის მარშრუტის“ განვითარებისა და პოპულარიზაციის და ახალი ადგილობრივი ტურისტული ღირსშესანიშნაობის შექმნის მიზნით პროექტის ფარგლებში განხორციელდა ზესტაფონში არსებული ორი მოზაიკის რეაბილიტაცია და ერთი მოზაიკის გადატანა „ფეროშენადნობთა ქარხნის ცენტრალურ შესასვლელთან, გაცილებით პრესტიჟულ და სანახაობრივ ლოკაციაზე ვიდრე მანამდე იმყოფებოდა გიორგი ნიკოლაძის სკვერში, სადაც ადამიანები უფრო მარტივად ახერხებენ მის ნახვას. პროექტი ასევე ითვალისწინებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ან სხვა კერძო მეტალურგიული ქარხნების გახსნას ვიზიტორებისთვის, რის შედეგადაც ტურისტებს საშუალება ექნებათ საკუთარი თვალით ნახონ, თუ როგორ ოპერირებს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქარხანა და როგორ ფუნქციონირებს ზოგადად მეტალურგიული ინდუსტრია ზესტაფონში. პროექტი მოიცავს სოციალურ კომპონენტსაც, კერძოდ, პროფესიული გიდების ტრენინგებს ადგილობრივი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. აღნიშნული კომპონენტი განხორციელდა ჩვენი ფონდის პარტნიორი ორგანიზაციის "ორიონის" მხარდაჭერით.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი**

  პროექტი დასრულდა 2023 წლის დეკემბერში.

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

  პროექტის ორგანიზებაში ჩართულები იყვნენ: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია თავისი ადამიანური რესურსებით, სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაცია, დღის ცენტრი „ორიონი“ და ფონდი „რიბირაბო“

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) **ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი:** პროექტის ფარგლებში დაქირავებული იყო შესაბამისი სფეროს ექსპერტები და ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები
  ბ) **ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება:** დონორის მიერ გამოყოფილი იქნა 19000 ევრო

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
  პროექტის განხორციელების პროცესში რაიმე ხელშესახები პრობლემა არ წარმოქმნილა

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაცია, დღის ცენტრი „ორიონი“ და ფონდი „რიბირაბო“.

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**
  პროექტის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროექტზე მომუშავე ადამიანების ენთუზიაზმა და თავდადებამ, ასევე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა და მათი შემოთავაზებების მხედველობაში მიღება.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პოლონელ ექსპერტებტან ერთად სოლიდარობის ფნდი პლ საქართველოში დაეხმარა ზესტაფონის მუნიციპალიტეტს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ახალი მოდელის შემუშავებაში, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ახალი ინდუსტრიული ტურიზმის მიზიდულობის ცენტრის შექმნა რეგიონში. ზესტაფონში „მოზაიკის მარშრუტის“ განვითარების, პოპულარიზაციისა და ახალი ადგილობრივი ტურისტული ღირსშესანიშნაობის შექმნის მიზნით პროექტის ფარგლებში განხორციელდა ზესტაფონში

არსებული სამი მოზაიკის რეაბილიტაცია. ესქპერტების მიერ შერჩეული სამი მოზაიკიდან ერთ-ერთის გადატანა მოხდა ახალ ლოკაციაზე, გიორგი ნიკოლაძის სკვერში, სადაც ადამიანები უფრო მარტივად მოახერხებენ მის ნახვას. პროექტი ასევე ითვალისწინებს როგორც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ასევე სხვა მცირე მეტალურგიული გახსნას ვიზიტორებისთვის, რის შედეგადაც, როგორც საერთაშორისო ვიზიტორებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნებათ საკუთარი თვალით ნახონ, თუ როგორ ოპერირებს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქარხანა, პროექტი მოიცავს სოციალურ კომპონენტსაც, კერძოდ, პროფესიული გიდების ტრენინგებს ადგილობრივი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. აღნიშნული კომპონენტი ხორციელდება დღის ცენტრ "ორიონი"-ს" მხარდაჭერით.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ადრეც და ახლაც წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციის ცენტრს. 90-იან წლებში განხორციელებულმა ნეგატიურმა გავლენებმა (საბჭოთა კავშირის ნგრევა) თავისი დაღი დაასვა როგორც ქვეყნის ასევე ზესტაფონის ეკონომიკურ მდგომარეობას. განადგურდა მრავალი ქარხანა და ფაბრიკა, თუმცა შენარჩუნებულ იქნა რამოდენიმე მსხვილი სამრეწველო ობიექტები. ჩვენი მიზანი გახლდათ იმ დარჩენილი სამრეწველო ობიექტებისა და ტერიტორიებისთვის მიგვეცა ახალი შანსი განსხვავებულად წარმოჩენილიყო მათი პოტენციალი, რაც რა თქმა უნდა ეფუძნება ევროპულ, ამ შემთხვევაში პოლონურ გამოცდილებას. ვფიქრობთ, რომ მოზაიკების კულტურის გაცოცხლებით, რომელიც მრავლად არის მიმობნეული საქართველოს სხვადასხვა ინდუსტიულ ქალაქებში, საფუძველი ჩაეყრება ისეთ ტურისტულ მიმდინარეობას, რომელსაც ჰქვია ინდუსტრიული ტურიზმი, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება ნაკლებად პოპულარულად მოგვეჩვენოს, მაგრამ თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით აშკარად შეინიშნება მეტი დაინტერესება, შესაბამისად გვაქვს ამბიცია იმისა, რომ კონსულტაცია გავუწიოთ და გავაცნოთ ჩვენი წარმატებული პრაქტიკა სხვა დაინტერესებულ მუნიციპალიტეტებს.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
  პროექტის წარმატების განმსაზღველი ფაქტორია ის რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ უმსხვილეს სამრეწველო რაიონს, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით გახდა შესაძლებეი აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელება
- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ**

  პროექტის განხორციელებამდე ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შეინიშნებოდა საერთაშორისო ტურისტების მცირე რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ ინდუსტრიული ტურიზმით, თუმცა დღემდე ხელმიუწვდომელი იყო მათთვის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებულ იმ ლოკაციებზე, რომლებიც წარმოადგენენ ინდუსტრიული ტურიზმისთვის საინტერესო ადგილებს. დღეის მდგომარეობით, მოზაიკების თვალსაჩინო ადგილზე გადატანით, მათი ლოკაციების იდენტიფიცირებით და ფეროს შენადნობთა ქარხნის ტურისტებისთვის გახსნის შესაძლებლობით ველით მეტ დაინტერესებულ ტურისტს, რაც თავისთავად გამოიწვევს ამ ლოკაციებზე მცირე სავაჭრო ობიექტების გახსნას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, აღნიშნული სიტუაცია კი თავისთავად აისახება მოსახლეობის ეკონომიური სიტუაციის შედარებით გაუმჯობესებაზე და პროექტის მდგრადობაზე.

10. საკრებულოს როლი:

აღნიშნული პროექტი განხილული და შეთანხმებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს სამომავლოდ უფრო მეტი გამოცდილება მიიღოს ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების მიმართულებით და უცხოელი პარტნიორების დახმარებით განახორციელოს ვიზიტი ევროპის იმ ქვეყანაში, სადაც განვითარებულია ზემოაღნიშნული ტურიზმის მიმდინარეობა, ხოლო შემდგომ, საქართველოში გაუზიაროს წარმატებული გამოცდილება პოსტ ინდუსტრიულ ქალაქებს და დაეხმაროს მათ კონცეფციის შემუშავებაში.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:**
  დავით ნიორაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. მობ: 593163277 ელ-ფოსტა: nioradze89@gmail.com
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**:
  ნათელა შარიქაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი. მობ: 593356901 ელ-ფოსტა: natia.sharikadze@gmail.com

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

1. დანართი #2 განაცხადი
2. 2021-2024 წლის პრიორიტეტის დოკუმენტი
3. რეგენერაციის გეგმა (ზესტაფონი)
4. მემორანდუმი (ზესტაფონის მერია სოლიდარობის ფონდი)
5. პროექტის პრეზენტაცია (მოზაიკები)